ᲨᲕᲘᲠᲐ, 16 ᲛᲐᲠᲢᲘ. 1930 Წ. № 10 (246). ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲞ.

ᲝᲚᲔᲓᲘᲡᲘ

Библиотека-Музей имени Акад. И. Грушевского Академии наук СССР
12 551

ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ — ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ! ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲗ!

ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელში

მე გაბედულათ ვიძახი ამას:
მეუოსეობის ხუთ წლიან გეგმას—
ოთხ წელიწადში ჩვენ შევასრულებთ,—
უკლებლათ, სრულათ!
დამიდასტურებს მე ამას მოწმე,
მოსისხლე მტერი და არა მოძმე,
ავტორიტეტი ყველასთვის დიდი,—
ჯორჯი ლოიდი!
(საახალწლოთ რომ აზრი გამოსთქვა,
მან გარკვეულათ იმაში ეს სთქვა).
მხედველობაში მისაღებია ოგრეთვე, ისა,—
გარდა ამისა,—
რომ მთელი ქვეყნის ბურჟუაზიას,—
განსაკუთრებით „ამერიკელ ძიას",—
მოუსვენრობა ძლიერ ეტყობა,
ჩვენი მოსპობა რომ არ ეწყობა!
ბურჟუაზიას რაც რომ სწადია,
ეს ყველასათვის ცხადზე ცხადია,
მაგრამ ჩვენზე მას ხელი აქ მოკლე.
თითონ ხანმოკლეს!
ხო, რას ვამბობდი?
ბურჟუაზია რათ მომაგონდა?
დიახ, გეგმას მეთქი,
ზემოთ მე ასე ვთქვი:
ოთხ წელიწადში,—ხუთის მაგიერ,—
რომ შევასრულოთ,
უკლებლივ, სრულათ,
მონდობილი გვაქვს პარტიის მიერ.
მაგრამ
ბევრი რამ
მაინც დაგვრჩება შეუსრულებელი.
თუმცა მათი სია არ იქნება გრძელი
ეხლავ ჩამოგითვლით.
აი, მაგალითად:
დარწმუნებული იყავით თქვენ ღრმათ,
რომ ელბაქიძის,—ვერის დალმართის,
გაფართოება რომელისაც მაშინ დაიწყო,
როცა ეს გეგმა შედგენილი კიდევ არ იყო,—
ვერ დამთავრდება!
ამის თავდები
მრავალი არის ნიშანდებულება!
გარდა ამისა, კიდევ შეგულება:
ავიღოთ, თუნდა, ქუჩა სანაპირო.
მისი გაყვანა ხომ არის საჭირო?
აღმასკომს შევასხათ მაშინ დიდი ქება,
მეორე ხუთწლედში თუ ის დამთავრდება!
კიდევ გავიხედოთ იქეთ-აქეთ, განზე,
თუნდა ყველასათვის ცნობილ მოედანზე:
ნეტა ეს ჯეგბირი როდის აიღება,
სადაც „გრუზგოსტორგის" სავაჭრო იღება?
აშენდებოდა შვიდი სართული, —
ბიზანტიური, თუნდა ქართული,—
აჟდენხანს კოშკი...
ნიუ-იორკში!
„დავეწიოთ და უნდა გავასწროთ
ევროპასა და ამერიკასო",—
ჩვენ არ ვიძახით ამას სამასხროთ,
მაგრამ ამ აზრის არ არის ვასო!
ვით „გრუზგოსტორგი" არ გადმოქართულდება,
ისე ამ ხუთწლედში ის ვერ დასრულდება!
კიდევ ჩამოვთვლიდი,
მაგრამ მეშინია,
რომ ეს ჩემი სია,
არ შეიქნეს დიდი!

ს. თ—ია.

„მეურაცყოფილნი"

—აი, ასე აფასებენ ჩემისანა პარტმუშაკს—სოფელში მგზავნიან სამუშაოდ. ეს არის საქმე! ეს არის მოღვაწეობის დაფასება?

თანამედროვე ანდაზები

- გამგე ვიყავ ვყვიროდი, მომხსნეს და უფრო ვყვირიო.
- უცბად გამდიდრებული ნოქარი რევიზიის დროს გაკოტრდებაო.
- ზოგჯერ დაწინაურებას, ძველ თანამდებობაზე ყოფნა სჯობიაო.
- ყველაზე უბედურება წერა-კითხვის უცოდინარობააო.
- ქათამი ყოველ აკაკანებაზე რომ კვერცხს დებდეს, მაშინ კვერცხზე იაფი არაფერი იქნებაო.
- მუცლის ამყოლი — გამსახლის ხშირი სტუმა-

კულაკი: — კოლექტივიზაციამსოფლიდან გამომაგდო; შენ გეწვიე; როგორც ძველ მეგობარს.

ვაჭარი: — მე კი შენთან სოფელში წამოსვლას ვაპირებდი, მეც შენი ღელ დამაყენებ.

პატარა „ვეფხის ტყაოსანი“

რომელმან შექმნა ამ ქვეყნათ ურიცხვი კოლექტივები;
ყანა დასთესა ტრაქტორით, გამოიყვანა მწკრივები;
დახნა, დასთესა მინდვრები, ახარა ობოლ- ქვრივები,
კულაკნი სოფლად განდევნა დაასპარტვია წვრილები
ბე, განგებავ. რაკი შექმენ კოლექტივი ყოველად სრული,
მათ შთაბერე უძლეველი უკვდავების რამე სული;
იმათ შრომას ბარაქიანს კი არ ექმნეს დასასრული.
მათი მტრები კულაკები ჩვენ ვიხილოთ გაბაწრული.

კულაკს ეკითხეს: ეზდენ ემუნვა რათ გატყვია ცხვირ და პირსა,
ნუ თუ ცუდი რამ შეგემთხვა, და დაგერთო ჭირი ჭირსა.
მან სთქვა: ჩემი კარმიდამო გადაეცა კოლექტივსა,
მე წევრადაც არ მიმიღეს, ცარიელი დამსვეს ტივსა.
ყველა კაცი ქვეყნიური ცხოვრებისთვის იბრძვის, ომობს,
კულაკი და მავნებლები ხხვის ნაოფლარს მისთვის ნდომობს,
წახდა მათი შუკთა ჭამა. ძველებურად ვეღარ ლომობს
კოლექტივში მას რა უნდა ვინც რომ ჭამს და კი არ შრომობს.
ვერ შეაჩერებს კოლექტივს კულაკებისა გლოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი ხუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოს შეერთდეს მშრომელნი. ღარიბნი საშიალოვანი,
სჯობს კერძო მეურნეობას კომუნა საბელოვანი.

გელასინი.

ფეინდის გრალია

ვენაცვალე ტყლიპში ამ ჩისტკის მომგონს. იმან ბევრი არამზადას გულის ჯავრი ამომყარა. ამბა რავა ეგონათ— ვინ შეარჩენდათ ხალხის მოტყვილებას და თაღლითობას?

ნათქვამია: ცოდვა თავს არ დაიმალავსო და ასე ყოფილა სწორედ. ბევრს ეტირა ყოფა, მარა ჩვენი თემის თავმჯდომარეს რომ დღე დადგა, იმისთანა შენს მტერს. ახია იმაზე, რაც მისგან ჩვენ გლეხებს დღე გვქონდა გამწარებული. გახურებულ შამფურზე წამოგების ღირსიც იყო. ბატონო ისე დეიჭიმებოდა, როგორც ძველი მიროთ პოსეფნიკი.

ულვაშები ისე ჰქონდა გაბზეკილი, რომ დღეში ათი ბუზი მაინც წამოეგებოდა ზედ. ერთი სიტყვით ძველ თავადიშვილს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა.

კანცელარიაში სათოფედ ვერ მოიგდებდი ხელში, როცა არ უნდა მისულიყავი საწყალი მდიანი და დარაჯი იყვნენ დასკუპოლი. ჰკითხავდი:—სად არის თავმჯდომარეთქო, გეტყოდენ— ქორწილში წავიდა, ქელეხში, ან და კიდევ —ნათლობაშიო. ენა კი ჰქონდა იმ შეჩვენებულს მისთანა, რომ ხელად მოთაფლავდა კაცს ასე გათქვეინებდა— ამისთვის სულს არ დავიშურებო.

ერთ დღეს შიუყარა ხალხს თავი და გამოუცხადა:— რადიო უნდა დაგიდგათო. ბევრს არც კი ვაეგონათ რადიო და შეეკითხენ; თავმჯდომარემ განმარტა: რადიო ეს ისეთი გრამაფონია, რომლითაც ყველაფერს გეიგონებ რაც ქ-...ანაში ხდებათ.

წყალი კრანტით ეზოებში უნდა შეგიყვანოთო, მოგროვა ფული წყაროს ფონდის გასაძლიერებლაო და ბო- ს ვეიგით თავისი ჯიბის ფონდის გასაძლიერებლად აგროვებდა ფულს თურმე. ასე პირდებოდა აშენებას ხალხს ენით. საქმით კი არ შეგვამოს ჭირმა. მხოლოდ იმას ფიქრობდა— სად და როგორ ეჭიყნა. ქალიბი ხოლო შწარიბოლი იყო მისგან; ვინც მოეწონებოდა, ყველა უნდოდა შეერთო, მარა სამის მიტის შერთვა ვერ მოასწრო, მოუსწოო ჩისტკამ და იკოცხლე იმას ყველაფერი ჩაშწარდა. ანასუნი და სისტიკინი მის საქმეს; იარის ახლა ცხვირჩამოშვებული, ვირის კეხს რო მიუგავს ი ცხვირი, ამიტომ ვენაცვალე ჩისტკას.

დონ-კიხოტი.

სიკოს ჩერვონეცი

(სი. ცდაზოგვის ერთთვიურის გამო)

ჩერვონეცი ჰქონდა სიკოს,
ჩერვონეცი, რაც არ იყოს,
დიდ რამეა გლეხის ხელში:
ის სწოდება ამით წელში,
დაელრიჯა სიკოს სახე...
მახთან ცოლიც ბევრჯერ ნახეს
მოკამათე თუ მოდავე...
არ იქნა ვერ მოათავეს
ჩერვონეცის განრ[illegible]ა:
დღით კრება თუ ღამით კრება
სიკოსი თუ მისი ცოლის,
მათი დავის, ჩხუბის ტოლის,
გადადება, გადმოდება...
ღმერთო ჩემო, რა არ ხდება!..
თმენისაგან გული სკდება,
ხოლო ბოლო არ ეღება
ამ საქმეზე იმათ კამათს,
თითქოს არა ამ ათ მანათს
ახე აწეს-არიგებენ,
არამედ მთას მხრად იღებენ,
ჩერვონეცთა კალოდ დებულს,
და ტვირთს, ახე დამძიმებულს,
ადგილიდან ვეღარ სძრავენ,
ჩამოკლებას რო ვერ რთავენ...
და გაგრძელდა ახე დავა...
მა, ერთი თვე ლამის წავა—
ამ ფიქრსა და ამ დავაში!..
ჩერვონეცი სიკოს სახლში
ძევს და ელის თავის ბოლოს,
ფულს კი, რომ არ მოაყოლოს
ის ჩვარსა თუ სხვა რამ სკვნილში,
არ ჩამალოს ახე სკივრში
ან ბულულსა თუ კედელში,
ქოთანს თუ თიხის დერგში;
ჩაფლავს ხშირად მას მიწაშიც:
მიდიოდეს თუნდა გზაშიც,
მის შენახვას მაინც მორთავს,
თუნდ პერანგშიც რომ გამოსკვნას
ანუ იმის ამხანაგში!..
[illegible]ორად ასეც ამ ბანად ის
ატრიალა სიკოს ცოლმა:
ხან ბულუში ჩვრის სკვნილს ბოლმა
გადაავლო შავი ფერი,
ხან დასტოვა სკვნილმა ფერი
იმავ სიკოს ც[illegible]ლის ხელით,
ხვრელში ჩასდო და კვლავაც ხვრელით
ამოიღო იგი სკვნილი,
უპოვა რა სხვა ადგილი,
ხამკვდრო თუ ხაიმედო;
ერთხან სკვნილი ზვინშიც ედო,
მარანშიც კი მოათავსა,
არ დაინდო მხოლოდ არსად
და ადგილი სულ უცვალა,
გაწვალდა და გააწვალა
ის სკვნილიც და შიგ ის ფული.
სანამ... სანამ კითხვა რთული
მის დახარჯვა-განრიგების
არ მოთავდა, კოშკთა გების,
ოცნებითაც გაბასრული,
აზრთ არ მისცეს დასასრული
სიკოსმა და მისმა ცოლმა,
არ გამურა სკვნილი ბოლმა
ქოხის ბულულ-სახურავში!..
და ბოლოს კი... დამცხეთ თავში,
ხის იყვეს თუ რკინის კეტი:
ალარ ძალმიძს ამის მეტი
და მოთმენაც ალარ მყოფნის...
ჩერვონეცი, სიკოს ოფლის
ნაყოფი თუ ნაამაგი,
ჩერვონეცი ის სადაგი,
უვნებელი ყოველად ნივთი,
ვერ მოთავსდა რა ის სკივრში,
სიკოს ცოლმა რა არ ჭრიდა
და სკივრიდან ამოზიდა,
თითქოს მით მარცხს აარიდა,
ამოიღო ჩვარიც თანა,
მაღლა სხვენზე აიტანა,
იქ გამოსკვნა მჭიდროთ ჩვარში
იქვე ბულულ-სახურავში
კერის თავზე [illegible]ცერად
შესდო გულის დასაჯერად!
და მის შემდეგ მოისვენა,
უზრუნველად რა ეჩვენა
ფული, ე შენახული...
დატკბა სიკოს ცოლის გული.
მაგ[illegible]ამ ერთ დღეს, თუ ერთ დილას
უცბათ მოსწყდა თვის ადგილას
ჩერვონეცი, ჩვარში სკვნილი!..
ახლაც მოსჩანს ის ადგილი
პირდაღებულ ხახად სხვენში...
მ[illegible]ოლოთ ისევ დარჩეს ჩვენში,
რადგან არ მსურს სიკოს ცოლი,
ის სხვენი თუ ცეცხლის ბოლი
დავაბეზღოთ ამით სიკოს...
თუმცა, ძმაო, რაც არ იყოს,
მენანება მე ის ფული,
ჩვრით იმ ცეცხლში ჩანაცრული!
თუმც ეს მოხდა იმ დროს მ[illegible]ოლოდ,
როს ბოსტანში საგასტროლოთ
გასულიყო სიკოს ცოლი,
ახე რომ მას არც ის ბოლი,
არც ის ალი არ უხილავს,
ჩერვონეცს რომ ეგზნო ღილას...
თუმცა ჭექა დიდხანს სხვენი
და იქიდან დანაცვენი
ძირს ჩაზიდა მჭვარტლიც თავით...
ჩვენ კი რა ვსთქვით ამ ოგავით?
ის, რომ სიკოს არ აწყენდა,
თუ ის ფულს გადაარჩენდა,
თუ შემნახველ სალაროში
დაცავდა მას მცირე დროში,
შემდეგ, თუ რომ ცოლთან დავას
კი ასდებდა ნიჩფათ ყავარს,
სასყიდლათ თუ საცივ[illegible]ავად
ნივთს ნახავდა თ[illegible]ვის-თავად!..

ჰაზირა.

ოგივეოგა

— კულაკი:—ეს დაბეგვრა კი არა, დაბრეგვა!

რამე-რუმე

ჯერ კინოში წასვლა, მაინც ადრეა, ცოტა გავისეირნოთ.

— თანახმა ვარ, მხოლოდ სხვა მიმართულებით წავიდეთ, თორემ ჩემი ქმარი ყოველთვის ამ გზით ბრუნდება ხოლმე სამსახურიდან.

— ვინ იცის იქნებ ველარც კი მოვესწროთ ამ ბოლშევიკების წასვლას და ჩვენი „იმედები" სამარეში თან ჩაგვყვეს.

— მე დიდი ხანია, მაგ აზრს შეურიგდი, ჩემო ივანე, აფსუს ის დრო სჯობდა, შენ რომ უეზდნი ნაჩალნიკად იყავი!

„გუბერნატორი“

(გადმოკეთებული)

„ყოფილი გუბერნატორი“, ან, როგორც ზოგიერთი მოქალაქეები უწოდებენ, — „ღრუბენატორი“; № ტრესტში მსახურობდა. მისი თანამდებობა არ იყო მაინც და მაინც სახარბიელო და პირიქით არც კი შეეფერებოდა „მის ბრწყინვალეობას“. მეკარის მოვალეობას ასრულებდა და თანამშრომლების პალტოებს და კალოშებს ინახავდა.

„ღუბერნატორის“ მდგომარეობა არც სულ ურუგეშო იყო. მოქალაქეთა შორის მოიპოვებოდენ „მისი აღმატებულების“ პატივისმცემელი გვამები.

ხარაზი ყლაპაძე ყოველთვის დასასარულს, „პალუჩკის“ დღეს პატიჟობდა მას სამიკიტნოში; უმასპინძლდებოდა კუჭმაჭით და ძეხვებით და თან ეუბნებოდა:

— მირთვით! გადაჭარით! ერთ კვარტს კიდევ ჩამოვდგამ; დალიეთ თქვენო ბრწყინვალებავ!

„გუბერნატორი“ ჩუმად ყლაპავდა ძეხვის დიდ ნაჭრებს და ზედ კახურსაც აყოლებდა.

ერთი კვარტის გამოცლის შემდეგ ყლაპაძე გუბერნატორს მხარზე ხელს სცემდა და ყვიროდა:

— არა, წარმოიდგენდი როდისმე, შე მუქთახორა, შე სისხლის მღვრელო, შე ჯალათო, რომ შეგხვდებოდა ჩემისთანა „ფუსტიაკ“ ვინმესთან პურის ჭამა? ა? წარმეიდგენდი? წარმეიდგენდი?

— ვერ წარმოვიდგენდი, რაც მართალია, მართალია. ფიქრადაც არ მომსვლია.

— დრო გქონდა რაღა! იჯექი შენთვის არხეინად და არაფრის დარდი არ გქონდა. მთელი გუბერნია შენს ხელში იყო,— რა გქონდა სადარდელი? არა, რა დროებაში იყავი და რა დრო დაგიდგა შე სულთამხუთაო, ა? რა დღეში ხარ შე ძაღლთაპირო! გუბერნატორო! გუ-ბერ-ნაااა. ტოო-როოოოო! რა დღეში ხარ. ახლა მე ვარ შენი მასპინძელი, მე! ქალაქელი ხარაზი და ახლა კომუნალურ მეურნეობისგან დაქირავებული ნიკიფორე ყლაპაძე. გადაკარი! გადაკარი, თქვენო ბრწყინვალებავ! დაცალე სასმისი, კიდევ ჩამოვასხამ... რა დღეში ჩავარდი, ა? რომ მოგენდომებია ში კაკალ კატორღაში მიკრავდი თავს; ციმბირში ჩამკლავდი, ეხეში ჩამალპობდი, შე სულწაკუპრულო! ხომ შეგეძლო? ა? მითხარი, ხომ?

— შემეძლო!— უპასუხებდა „გუბერნატორი“ და თან მძიმედ ამოიოხრებდა.

ხარაზი ღამით გვიან ბრუნდებოდა. მას „გუბერნატორი“ აცილებდა და ორივენი ქუჩებში ხელიხელ ჩაკიდებულნი მიბარბაცობდენ.

— არ არის კარგი თქვენი ბრწყინვალებავ! გუშინ კიდევ უნახავხართ იმ ფინჩ ყლაპაძესთან... არ გეკადრებათ მაგისთანა ხალხთან თავის გაყადრება... რა ვქნათ, რომ ცუდი დროა, რა ვქნათ, რომ ამ წყეულმა ბოლშევიკებმა მიწასთან გაგვასწორეს და ლამის ქვეყნელში ჩაგვაძვრინეს! თქვენ თქვენი მირონი; თქვენი, ყისმათი, მაინც არ უნდა დაჰკარგოთ.. ვინ იცის რა მოხდება..., გუბერნატორი ხართ, — ეუბნებოდა მას ყოფილი თამბაქოს ქარხნის მეპატრონე არშაკა ღიპიანი.

ხანდახან ტრესტში შრომის სკოლის მოწაფეთა ექსკურსია მოდიოდა, რომლის ხელმძღვანელი მოწაფეებს კარებთან დამხდურ „გუბერნატორის“ წინ აჩერებდა და ეუბნებოდა:

— აი, ყმაწვილებო! თქვენს წინ სდგას ყოფილი გუბერნატორი! ის იყო წარსულში ვეებერთელა გუბერნიის სათავეში და მართავდა მას სურვილისამებრ. იმის წინ კანკალებდენ შეშინებული მოქალაქენი. ხომ მართალია ამხანაგო მეკარევ?

— სრული სიმართლეა. აგრე იყო, —უპასუხებდა გუბერნატორი“.

ექსკურსანტები მას ისეთი ინტერესით ათვალიერებდენ, თითქოს აფრიკიდან ჩამოყვანილი ჟირაფი ყოფილიყოს და იღიმებოდენ.

ყოფილ ბოქაულებს, „გარადავოებს“ და სხვა ყოფილ წვრილფეხა პოლიციელებს გული სწყდებოდათ:

— სადაა სამართალი,— ამბობდენ ისინი:— გუბერნატორი დამშვიდებით მსახურებს. ქვეყანამ იცის მისი ამბავი და სამსახურიდანაც კი არ ითხოვენ. ჩვენ კი ყოველ ანკეტის დანახვაზე, შიშით ოფლში ვიწურებით და ყოველ მოქალაქის გვეშინია, რომ ჩვენი პოლიციელობა არ გაამეღავნოს.

მოახლოვდა საბჭოთა აპარატის წმენდა, რომელმაც ტრესტამდეც მიაღწია.

ყველა თანამშრომელი დარწმუნებული იყო, რომ: „გუბერნატორს“ აუცილებლად დაითხოვდენ.

ყველას გული შესტკივოდა და ეკოდებოდა.

„გუბერნატორი“ ტრესტის გამგეობასაც ებრალებოდა და გადაწყვეტილი ჰქონდა მისი გადარჩენა.

გამგეობა ასე ჰფიქრობდა.

— საუცხოო მუშაკია. კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას; როგორც მეკარე პირდაპირ სასახელოა. გარდა ამისა, ჩვენს მოვალეობას შეადგენს შეუნახოთ იგი ძმისაგან, თავისაგან, როგორც ცოცხალი და თვალსაჩინო ეგზემპლიარი შავი წარსულის მოსაგონებლად.

ზემოხსენებულ მოსაზრებათა გამო, გამგეობას იმედი ჰქონდა, რომ გუბერნატორს გადაარჩენდენ.

წმენდაზე აურაცხელ ხალხს მოეყარა თავი.

თანამშრომლების გარდა, ბევრი იყვენ გარეშე პირებიც.

„გუბერნატორის“ ბედი ყველას აინტერესებდა.

როგორც „გუბერნატორის“ რიგი მოვიდა, მან გამწმენდ კომისიის წევრებს მდაბლად თავი დაუკრა და დაიწყო:

— ჩამომავლობით გლეხი გაბლავარ.... სიღარიბის გამო ჩემმა მშობლებმა.,,

— სულელი!... რატომ სტყუის?!,

— დეიღუპა თავი საწყალმა!..

— ხომ იცნობენ მაინც?

— გამოტყდეს, — უპასუხია.— გაისმა ხალხში.

„გუბერნატორი“ კი აგრძელებდა:

— სიღარიბის გამო მშობლებმა ქალაქში მიმაბარეს; ჯერ ხარაზთან ვიყავი, შემდეგ მეკარეთ ვმსახურობდი ერთ „პოლკოვნიკთან“. იქიდან კი გუბერნატორთან გადავედი, იმავე თანამდებობაზე. რევოლიუციის დროს დამიჭირეს, მაგრამ გამითავისუფლეს. ზოგიერთებს გუბერნატორი ვგონივარ. გუბერნატორი ორჯერაც არ მყავს ნახული. ინებეთ ჩემი მოწმობები; გაშინჯეთ!

დარბაზში ჩოჩქოლი შეიქნა.

— შეუძლებელია!

— ცრუობს!..— ისმოდა ხალხში.

— არ გვინდა გუბერნატორის ლაქიები,— ამთავრებენ თავის სიტყვას ორატორები, რომლებიც დოკუმენტებმა დაარწმუნა, რომ მათ წინ გუბერნატორის ნაცვლად უბრალო შეიარი იდგა.

ნიკიფორე ყლაპაძემ შესწყვიტა გუბერნატორთან ერთად სამიკიტნოში სიარული. არშაკა ღიპიანი კი ნაცნობებს ნაღვლიანად ეუბნებოდა:

— გუბერნატორი გვეგონა... როგორ მოვტყუვდით!.. — და აგრძელებდა:

— დალუპეს, დალუპეს მაგ წყეულმა ბოლშევიკებმა ქვეყანა!.. სანთლით რო დაიარო მთელი საბჭოთა კავშირი, ერთ ნამდვილ გუბერნატორს ვერსად იპოვი!

მედუზა.

ინგლისის ანტი-საბჭოთა ფუნდი



ინგლისის კონსერვატორები ისევ გა-
ნაგრძობენ ანტი-საბჭოთა კამპანიას

გასეირნეგა ტფილისში

„ახალი სამოთხე"

ქალაქში ბევრ საოცარ სანახაობას წააწყდები კაცი, თუ ქუჩა-ქუჩა სიარულს არ დაიზარებ.

პლეხანოვის პროსპექტზე № 174, დარაბა № 00226-ში მოთავსებულია ყვავილების საწყობი.

მახსოვს ამ საწყობს მეფისა და მენშევიკების დროს სახელწოდება „სამოთხე" ჰქონდა. (ეს ალბად იმიტომ, რომ მაშინ თითქმის ყველას სწამდა ღმერთი და სამოთხე).

ვისაც ვინდათ ცხონება,
მიაკითხეთ სამოთხეს.
იქ ნაყდი ყვავილი
სუნს არ ჰკარგავს სამ-ოთხ დღეს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ „სამოთხის" მფლობელმა (ღმერთი არ გეგონოთ) თავის „სამოთხეს"—სახელწოდება შეუცვალა დროისა და გაგემოების მიხედვით და უწოდა მას „წითელი სამოთხე" (ე. ი. რევოლიუციონური სამოთხე).

— შარს ვერ მომდებენ, ჩემი სამოთხეც გავარევოლიუციონერე. მაგენიც ხომ ქვეყნად სამოთხის დამყარებას ლამობენ?!—ფიქრობდა „წითელი სამოთხი"-ს პატრონი აგონდებოდა რუსთაველის გამზირზე, სადაც ეხლა „ზაკანიგა"-სა თუ სახკინშრეწის მალაზიაა, კერძო საეაჭრო წითელი ვაჭარი"-ს სახელწოდებით. (შემდეგ აკრძალეს „წითელი ვაჭარი"...— ვაჭარი და წითელი არ შეიძლებაო,— გამოუცხადეს).

— წითელი სამოთხე ვისაც უნდა მას ჰქონდეს. ბოლშევიკებთან არც სამოთხეში გვინდა ყოფნა!— გაისმა-და „კეთილშობილ საზოგადოებაში" საყვედური.

„წითელი სამოთხის" პატრონმა ალ ლო აუ[illegible] „მასების" უკმაყოფილებას და... „წითელმა სამოთხემ" სხვა სახელწოდება მიიღო: „ახალი სამოთხე".

—ახალი სამოთხე კი ყველასათვის მისაღებია!— ამბობს „ახალი სამოთხის" პატრონი.

— აიმას ლომისათვისაც?!— ვეკითხავდით ჩვენ.

—:—

„ამხანაგი"

რუსები იტყვიან: „[illegible] ვ კუსუ ტოვარიშჩა ნეტ", [illegible]. ი. გემოვნებაში კაცს ამხანაგი არა ჰყავსო, ანუ ყოველ კაცს [illegible]ისი გემო (ვნება) აქვსო.

მაგრამ [illegible]ში (მტკვლის ქ. № 2) ერთ-ერთ შრომის კოლექტივს აქვს ლოზუნგის ჩამოსასხმელი და „საწყობი, რომ ლის ეტიკეტი ასეთია:

მაშასადამე, წინააღმდეგ რუსული თქმულებისა, როგორც ეს ეტიკეტი ამბობს, არსებობს „გემოვნების **ამხანაგი**".

აბა, [illegible]ოს ვინმემ და სოფრაზე ამხანაგს უარი უთხრას სვას „შრომის კოლექტივის" ღვინო „გემოვნების **ამხანაგი**"; (ის ხომ ალ[illegible] იქნება გემოვნების ამხანაგი!)

— ამხანაგო, დალიე „ამხანაგი"... ხომ იცი არ დაგათრობს, რადგან „ამხანაგი" ამხანაგია!— ეუბნება ტოლუმბაში თანამოსუფრეს და იწყებენ სიმღერას:

ამხანაგო, მომისმინე,
დამდე [illegible]არემ ეს ამაგი,—
გამოსცალ[illegible]ე [illegible]თი კვარტი
ჩვენი ღვინო „**ამხანაგი**".

ზოგიერთი ამხანაგები ძალზე ახურდავებენ ამხანაგს. ეს არ ვარგა და ამას ყურადღება უნდა მიექცეს. **ხი—ლი.**

ნიკოლოზ მე-2. როგორც თვითონ სწერდა უუვარს უვაკილები, თუმცაღა ყველების მოწყვეტის მაგიერ უყვარდა თავის მოწყვეტა თავისი ქვეშევრდომებისაგან.

დედოფალი ალექსანდრა. უყვარდა ხელსაქმე—რასპუტინს საცვლებს უკერავდა საკუთარი ხელით.

მემამულე:—ეი, შენ, რატომ ცალ ფეხზე დგახარ?

გლეხი:—მეორე ფეხი სად უნდა დავდგა როცა ყველგან შენი მოწყაა?!

მიხეილ რომანოვი და მილიუკოვი.

— რად ვინდა შენ, ჩემო ძმაო, რვა საათი თავისუფალი? შენ ჯერ კიდევ შეუგნებელი ხარ და არ შეგიძლია თავისუფალი დრო ჩემსავით მხიარულად გაატარო!



ასე ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთის მოქალაქე.

ოზურგეთის ქარხანა... ვერ უშველის თავს ფხანა

ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანა ოთხი წელიწადია რაც მუშაობს. ამ მოკლე დროის განმავლობაში მას ბედნიერება ხვდა შვიდჯერ გამოეცვალა ბუჰალტერი. და ამ „აკვნიერებამ“ ის უბედური ჰყო.

პირველად, როცა მუშაობა ჯერ კიდევ ორ იყო რთული, მთავარ ბუჰალტრობდა მოანგარიშე თოიძე.

შემდეგ ტრესტმა გამოგზავნა მთავარ ბუჰალტერის თანამდებობაზე ლეჟავა. მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი წვერები ჰქონდა, ერთი თვე ძლივს გაუძლო საქმეს და შემდეგ უკანვე გაბრუნდა ძველ თანამდებობაზე (კოოპნოქარი იყო).

უმთავარბუჰალტროდ დარჩენილ ქარხანას, ტრესტი უგზავნის მთავარ ბუჰალტრად პაიჭაძეს, რომელიც მალე გახდა „გაზეთების გმირი“. აქ მას ცოტა მარცხი შეემთხვა: მუცელში მოულოდნელად გადასცდა მუშებისათვის დასარიგებელი 60- ფუთი სიმინდი. ვინაიდან ამდენი სიმინდის მონელება საჩიფათო იყო, კვლავ უკანვე ამოყლაპვინეს და ით გადაარჩინეს კაცი. მისცეს საშვზავრო ფული და თავისი ბარგი-ბარხანით გაძევეს ტფილისისაკენ.

პაიჭაძის შემდეგ ქარხანას ინსტუმრა „ბუჰალტერი“ [illegible], რომელიც, როგორც იყო, აქ თვე „იმუშავა“ და შემდეგ თავს უშველა.

ბედმა გაუღიმა მოანგარიშე თოიძეს და ის ისევ ჩაბრძანდა მთ. ბუჰალტერის სავარძელში.

მაგრამ არ ეშინია პაიჭაძეს, რომელსაც თავი კუნძულზე გადასახლებულ ნაპოლეონად წარმოიდგინა.

როგორც კი მეტეხიდან თავი დაიძვრინა (იხ. ტრესტში მსახურობდა და იქ „გაემასქნა“), კვლავ მოეევლინა ქარხანას და თავის სავარძელში ჩაჯდა (იხ. ნაპოლეონის ასი დღე). მაგრამ მაშინვე თავს დაესხა ტფილისის პროკურატურა და...

და ქარხანა ისევ უმთავარბუჰალტროდ დარჩა.

ტრესტი აიტა, დაბტა, მიახტა კ. სოხაძეს და გამოგზავნა ის ქარხანაში.

სოხაძემ მხოლოდ ერთი თვე იმუშავა და შემდეგ, არც კი გამოგვშიდო ბებია, ისე წავიდა აქედან ტფილისში.

— „უძაღლო ქეიფანაში კატას აყეფებენო“! - კაიფიქრა ქარხნის დირექტორმა და მთავარ ბუჰალტრად ისევ მოანგარიშე თოიძე დანიშნა.

ბუჰალტერის დაეთრები (არაფის ეგონოს — ირონია, აქ ლაპარაკია წიგნზე) ცოტათი დამშეიდდენ და გონებას იკრეფენ.

ალი.

უსიამოვნო შეხვედრა

ბამბე: — თქვენ მეცნობით, სადაც მინახავხართ!
— გამწმენდ კომისიის თავმჯდომარედ ვიყავ ტრესტში, სადაც თქვენ მსახურებდით და შემდეგ მოგხსენით!

რადიო ჩვენ სოფელში





იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო,
ჩვენო საგუშო ბიუროვ, ჩვენო ბიუროო,
სიზმარში ხარ უდარდელო, რამ დაგაძინაო.
მომხმარებელთა ნუგეშო, ჩვენო ციუროო.
შენ გეგზები საბნად გხურავს არ შეგციოდებაო.
იავ ნანა, ვარდო ნანა ჩვენო დიდებაო.

თევზის სექციას განაგებს
ალ.ლკ. შტეინგელი,
ეპარი და დღეს ცხვრის ტყავ"
გადაცმული მგელი.
კერძოებთან იკერს საკმეს,
ყიდულობს და ყიდის,
„ავანსები" ათასობით
შტრის ჯიბეში მიდის.
ააშენებს მუშკოპს ალბად
მარდკო შტეინგელი,
ეპარი და დღეს ცხვრის ტყავში
გადაცმული მგელი.

ალიხანოვი განაგებს
ხორცის საქმეთა სექციას,
ითგულობაში საქმისთვის
არ საჭიროებს ლექციას,
სალამსაც აღარ კადრულობს
და ცხვირი მაღლა აწია.
მაგრამ „ვით გამგეს შეფერის"
ბიუროკრატობს „პაწია";—

გრიშა გრიგოლოვს გავაცნობთ

გამგეა ხილის საწყობის,
ბიუროკრატი, უხეში,
კომბინაციის „მამწყობი".
(იქნებ მრუდე აქვს,—ვინ იცის
თვალის ჩინი და კაკლები),
მისგან ნაწონი ყოველთვის
წონაში მოდის ნაკლები.

ყოფილი გამგე მუშკოპის
და დღეს კი კანტრალიორი
ორდენიძე გიორგი, —
მას ვერ გარეცხავს იორი.
მას თავისთავი ჰგონია
უმანკო, ალალ-მართალი,
მაგრამ ხურათით მიხვდებით,—
სად დაბრძანდება ფართალით.

ჩვენი მსუბუქი კავალერიის თავდასხმა მუშკოპის სამმართველოზე

მამუჩიშვილს, — მუშკოპის
ნომერ ორთმეტის გამგესა,
არ დავიწყებ, მიუძღვნი
სატარტაროზო ჰანგებსა;
ხშირად ნახულობს მიკიტანს
არუთინოვსა დარჩოხა,
ჰკოცნის მის „კოკობ ულვაშებს",
დუქნის დარაბა-ჩარჩოხა.



მუშკოპშია დღეს მოლარეთ
რამიშვილი ლიდა,
ახლა დააწინაურეს,
უწინ ნაგავს ჰგვიდა.
შეგვარცხვინა: ქალბატონობს:
მასთან მისულ მუშებს,
უშვერ სიტყვით ემუქრება
და სახეში უშენს.
მუშკოპის სამმართველოში

ბიურო იყო ცნობათა
მისი ხურათი კედგაზეთს,
ახლაც ამშვენებს ნობათად.
შიგ იჯდა ქალი ნინიჩკა,
იჯდა და საცვალს ჰკრეფავდა,
ცნობისთვის რომ მიგემართა
სახეში აგაკერავდა.

მისაკი შახვერდოვია
საწყობის თანამშრომელი,
ქურდობისათვის ერთხანზე
გააპანლურეს რომელი.
ისევ საწყობში მიიღეს,
ეს გაანცვიფრებს ყველასა,
მსუქან-მსუქანი ქათმები,
ცვლავ ჩაბარე მელასა,

— ამაზე უარესს ხლამსა და ძველმანს სად ნახავენ! ...ლონ რაღა!

— ვის რად უნდა! მაგათგან არაფერიც არ გამოვა!

შევაგროვოთ

რა ოხერი თავი მხრებზე მაბია,
შიგ არ არის ტვინი ერთი აბია.
მე სულელი დავსციონოდი მიხოსა:
„დე, ძველმანი მისთვის ეგდოს, იყოსა“.
მან შეკრიბა და მიჰყიდა „ზაკუტილს“,
ტანთ ჩაიცვა და კიდევაც „ზაკუტილ“...
ეს არ არის ზღაპარი და იგავი,
„ზაკუტილ“-ში მე თვითონვე ვყავი.
მეგობრებო, გავაქანოთ ხელები,
შევაგროვოთ ყველაფერი ძველები,
და მივყიდოთ ნაღდ ფულებზე „ზაკუტილს“
ტანთ ჩავიცვამთ და კიდავაც „ზაკუტილ“.

ბაბალეს ფასრეულები-ს ბაბალეს ფასრეულებზე
ნოგრები
და ქუთაისზე

წერილი ძმას

მწერ: „ქესატობა არის,
არ იშოვნება ფული.
თუ დროზე არ მიშველე,
გამიტუდა, ძმაო, გული“.
ჰო, მართალია, მაგერა,
ფული არ ცვივა ციდან.
აქაც მაგ ცაა, ძმაო,
და მე ვიშოვო სიდან?
მაგრამ დღეს ფულის შოვნა
არც ისე არის ძნელი;
საჭირო არის მხოლოდ,
რომ გააქანო ხელი.
ჯერ ჩვენს ოჯახში რამდენს
მოჰკრეფთ-თქვენ ნაყარ-ნუყარს
(ეზოში ძველმანები
ნუ ლპება, ნუ ჰყრია, ნუ ჰყარს!)
ჰო-და, მოუხმე ყველას:
ცოლს შვილებსა და მამას.
შეკრიფეთ ძველმანები,
ნუ ეხარცხვებით ამას.
„ზაკუტილს“ მიუტანეთ.
(მანდაც ჰყავს რწმუნებული).
მერწმუნეთ არ გაბდებით
თქვენ მიხგან წუნებული.

პოვნა

მიდიოდა ცოლ-ქმარი,..
ნახეს ძველი კალოში.
ქმარმა უთხრა:—აიღე,
წამოიღე, ქალო, შინ!
ინაღვლიდენ:—ამდენხანს
რად არ ვკრეფდით, რად არა?!
გამოვიდა ეზოში
ქალი კაცი, პატარა,—
და მოჰკიდეს ძველმანი:
ეს ჟესტია, ის ძვალი...
გაჰყიდეს და იყიდეს
ხალათი და თავშალი.

ლაუღვი ფსარა

ისევ „განწირულნი“

აქ „განწირულნი“ ვინ არის, ნეტა,
მსახიობები, ფული თუ ჯარი?,
ათასი ფუთი — გრიმსი, პოზა...
დროა ხალტურას დაესვას ჯვარი.

„განწირულნი“

წარსულის სასაფლაოზე
მოთხარე „განწირულები“,
უფერული და უნასკვო,
მიუზიდავი სრულებით
მხოლოდ ერთია მიღწევა,—
მსახიობების თამაშში
ჩვენთვის უცხო და ახალი—
დაგეთანხმებით ამაში:—
დაგვიწყებია ლეკური,
სისხლის ღვრა გასაკვირები,
და ძველი,—მამა-პაპური—
ხანჯლით აკუწვა გმირების.

„შეხვედრა“

არავინ უწყის — არნახულ სურათს
თუ რანაირი ექნება ხვედრი.
დავმჟავდი კაცი ამდენ ლოდინში
და არ მეღირსა მასთან „შეხვედრა“.

კვირას, 16 მარტს დღის 12 საათზე
რედაქციის ბინაზე მოწვეულია
ტფილისელ ტარკოლრთა
თათბირი
დასწრება ადგილობრივ თანამგრძნობ-
ლებისთვის საკმაოდ საინტერესოა



— ეგ რაა! ჩემი ცოლი ყოველდღედადის ოპერაში.

„მოღალატე რევოლიუციონერი“

„ტოსკა“

(ლევარსი როხროხაძის რეცენზია)

ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს ამ ოპერის მხატვრული მხარე და მისი შესრულება ჩვენს ოპერის თეატრში. ჩვენ იმდენად აღშფოთებული ვართ, რომ არც კი ძალგვიძს ამჟამად დადგმის შეფასება.

ჩვენ გვინდა გაგიცხოთ ამ ოპერის ერთერთი გმირი ანჟელოტი, რომლის კვანძზეა აგებული მთელი ოპერა.

ამ როლს ასრულებდა მომღერალი ჭურხული.

რევოლიუციას ბევრი ახსოვს მოღალატენი, მაგრამ რაც ამ ოპერაში ხდება, ეს ყოველივე საზღვარს აჭარბებს.

მოქ. ჭურხული (ანჟელოტი) პირველ მოქმედებაში გამოყვანილია როგორც თავდადებული რევოლიუციონერი. ის ლეწავს ციხის კარებს და გარბის. ის იბრძვის რევოლიუციისათვის რომის პაპის წინააღმდეგ.

ასეთია ჭურხულის ანჟელოტი პირველ მოქმედებაში, მაგრამ...

მაგარიც ეს არის.

იხდება ფარდა მეორე მოქმედების დასაწყებად და...

და პოლიციის უფროსის ზარზე შემოდის პოლიციელი ოფიცერი რობერტი.

იცნობდეთ—ეს გახლავთ იგივე ჭურხული, იგივე პირველ მოქმედების რევოლიუციონერი ანჟელოტი.

აი, სანამდე მიდის რენეგატობა, ღალატი და ადამიანის გათახსირება.

პირველი მოქმედების ანტრაქტი არც ისე დიდხანს გრძელდება, რომ ამ ხნის განმავლობაში რევოლიუციონერ ანჟელოტეში მომხდარიყო ასეთი უკიდურესი გადატრიალება, რომ ის გადაბარგებულიყო რეაქციის ბანაკში. მაგრამ, ცხადია, ალბად თავიდან არ იყო ჭურხულის ანჟელოტი ნამდვილი რევოლიუციონერი.

კიდევ მეტ ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს, როცა პოლიციის ოფიცერი ჭურხული — რობერტი (ყოფილი რევოლიუციონერი ჭურხული—იგივე ანჟელოტი) სკარპლს (პოლიციის უფროსს) თავის თავზე ეუბნება მხატვარ მარიოს და ტოსკას თვალის ასახვევად, თითქოს ანჟელოტიმ დაპატიმრებისას თავი მოიკლაო.

როცა ოპერა „ტოსკა“ ასეთი შემადგენლობით იდგმება, ის უნდა წავიდეს **„მოღალატე რევოლიუციონერი“**-ს სახელწოდებით.

ლევარსი.

„პენსიონერი“

— წავიდეთ სარდაფში და მისი უიმპერატორესობის მეფე ნიკოლოზის შესანდობელი დავლიოთ!

ჭორი



— ქალო სონა, გაიგონე
დღეს ბაზარში რას ამბობენ?
დაიკლიან თოთმე ბინებს,
საბნებს ბამბას დააძრობენ.
შალებს, ნოხებს, ოქროს და ვერცხლს
წაგვართმევენ, ქალო, თურმე,
ეს „სიროზნი“ საქმე არის,
არ გეგონო ქალო ხურმა...
— ჭა, რას ამბობს, ჩემო კატო
დამიდგება ორივ თვალი!
მაინ[illegible] ჯავრით აღარ სძინავს,
არ გახადონ [illegible] შარვალი.
— ვაი, ვაი, ჩემო სონა,
მაგას ვამბობ, ბიჩა, აბა,
შალისაა დაწყეველილი,
არ წაიღონ ჩემი კაბა.
— ჰო, და ასე, ჩემო კატო,
ჯარი მაგრა გადაკეტეთ,
დუ თუ ვინმე კარს მოგადგეთ;
წამოაცლეთ ხელი კეტებს.

ივ. იოფიკ.

წკიპურტები

1.

— იცი რა?
— რა იყო, ჩემო მშვენიერო?
— ნერვნი რასტროისტვო დამჩემდა, მას შემდეგ, რაც ი, ვიდვიფენკა ქალი ჩვენი განყოფილების უფროსად დაწინაურეს!

— ცოტა მოიცა, აპარატის წმენდამ გაიაროს და თუ გადურჩა, გამოუნახავ უებარ საშუალებას, რომ, ისევ თავის ადგილზე გადავისროლო შენი შემაწუხებელი.

2.

— რა მიგაჩქარებს, კაცო, ენა გადმოგდებული, რომ გარბიხარ?

— ქალაქის პირველ საავადმყოფოში მივიჩქარი, თავისუფლების მოედანზე მთელი დღე მოცდა მომიხდება, რომ მეცხრე ნომერ ტრამვაიში ადგილ ვიშოვნო.

— ყოველ შემთხვევაში, ჯერ დილის 7 საათიც არ იქნება!

— ნეტავი, სალამოს 7 საათამდე მოვასწრებდე დანიშნულ ადგილზე მისვლას, მაშინ არაფერსაც არ ვინაღვლიდი.



ᲙᲣᲚᲐᲙᲘ: — ღმერთო, შეაცდინე ისინი და მიაღებინე ჩემი თავი კოლექტივში!

—ჰაიი! რა მაგარი პანღური სცოდნიათ!

— ტყვილად გევედრებოდი მუხლმოდრეკით! ასე გეკუთვნის შენ!

სიტყვა და საქმე

პოლონეთის სამღვდელოება, რომელიც რელიგიის „მფარველად" გამოდის, ანტი-საბჭოთა კამპანიასთან დაკავშირებით, არბევს მართლმადიდებელთა ეკლესიებს.

მართლმადიდებელი ხუცესი: — უფალო, დამიფარე მფარველისაგან ჩემისა!

ბირჟის ბჭესთან

აქეთ ვეცი, იქით ვეცი
მაინც ვერსად გავიქეცი;—
სად წავიდე, არ ვარ სპეცი,
ეხეტიალობ, როგორც ბეცი.-
გულში დარდი, თავში რეტი,
აღარა ვარ ამის მეტი.
მალაზია მჭონდა ორი,
ვსუქდებოდი, როგორც ლორი;—
არვინ მყავდა მაშინ სწორი
ტლინკებს ვყრიდი, ვითა ჯორი.
ფინინსპექტორს ვერ გადურჩი,
და მით გავხდი თავის ფერჩი.
ნალოგისგან ისე წავხდი,
რომ ერკოპის ლუკმა გავხდი.
მოვდგომივარ ბირჟის კარებს,
ახლო არვინ არ მიკარებს,
იქნებ მოვახერხო რამე
და მოვეწყო თბილად სადმე.
გავათიე ასი ლამე,
ვივალალე და ვეწამე.
დავრჩენილვარ, ვით ობერი,
დარდიანად მისთვის ვმღერი.
გამითეთრდა თმა და წვერი,
ველარ მშველის ვერაფერი.
ახ, ერკოპო, გაშრა სისხლი,
იმედს რაღა თავში ვიხლი!—
გორისპოლკომს, ჩემი ცოდვა,
ჩანგალი რომ ყელში მომდვა.
ამიტეხა ჩქარი ხველა,
ჩამომშორდა, ვხედავ, ყველა.
მეყო ჯავრი მეტის მეტი,
ამივარდა თავში რეტი,
ბირჟის ბჭესთან დღე ცამეტი
ვდგევარ ისე, როგორც კეტი.
კარებია დანაკეტი
ვარ ბეცი და მთლად ჩეხილეტი.
რომ საშველი აღარ არი,
მომიხორის აჭაც კარი.

მანი.

მოკვეიფე თავმჯდომარე

საზანო (ქუთ. ოლქი). გვარი მისი დეგიძეა, და მდევ`დაც მოაქვს თავი. ქეიფობა უყვარს ხშირად, მაგარი აქვს თანაც ძკლაკი. მილიციელს სცემა გუშინ, მუშტი არტყა კაკალ გულში.

როგორც იქნა საზანოში გაიმართა ერთხელ კინო. მაგრამ ამ ჩვენს თავმჯდომარეს მოხატვროდა მაშინ ლეინო. ხალხი სახლში გაისტუმრა და გაშალა ფართო სუფრა.

(პილპილაძე).

ქელეხი ალმასკომში

ძირულა. ბარბაქაძე ვარლამი კაცი არის ცნობილი. მას ბევრი ჰყავს თავისი ამფსონი და ძმობილი. (თუ გინდ ერთი ავიღოთ — მდივნიშვილი ვასილი, კაცი ყოველ შავ საქმით სულ ყელამდე ავსილი). შაესიელი ამათგან ხმას აღიღეხს ადვილად, თუ კი ორჯერ წაიყვანს სახლში იმათ სადილად.

(კირკიტა).

„კოლექტივის ყეფრი"

ს. ფითელ-ხევა (ბორჯომი, ახალდაბა). კოტკავ ბიოელმა ნიკომა ხარები დაკლა ნიკორა. ჯერ ხარს ფეხები მოტეხა („კლდეზეო გადაირეხა"). ხორცად გაყიდა და ფული ჯიბეში ჩაიჩხოილა, მან კოლექტივის ქონება ამგვარად გაატიალა. წეერი ეარ კოლექტივისო და წაიღებდა ისაო. ზედ მიაყოლა ლორები, ვამძღომი სტომაქისაო. ლანძღვა და გინაბაშიაც ნიკოს არა ჰყავს ტოლია. გუშინ ერთ მოხუც დედაკაცს ზურგზე ადინა ბოლია.

(ტარკორი).

„თავის ბინაში"

ს. გულიანი (ოზურგეთის მაზრა). ჯიჯიეშვილი ილია, ეხლა რომ მოწყენილია (გამსახლეში ზის, ხის და ფიქრობს, ბოლთას (კედით სეედას იჭრობს), როცა იყო კოლექტივის თავმჯდომარედ, ავრცელებდა ათასს ქონებს შინ და გარედ.

გარდა ამისა ილიკოს, უყვარდა ფლანგვა „ფულიკოს".

(ხალი).

ᲬᲔᲛᲘᲡᲠᲘᲜᲯᲘ

ᲑᲔᲑᲘᲔᲑᲘ

რკინის გზის მთავარ საავადმყოფოში ხშირად ნიშნავენ ახალ-ახალ, ჯერ კიდევ დაუწვრთნელ ექიმებს, ხოლო რკინის გზის ხაზზე წლობით მომუშავეებს კი ყურადღებას არავინ აქცევს.

ასე მაგალითად, ამ ცოტა ხნის განმავლობაში აქ „მოაწყვეს“ მოქ. ლოლაშვილი, ქ.თანარია, ეზიეიშვილი და სხვა, რომლებმაც ვაღლახან დამთავრეს საექიმო ფაკულტეტი.

„ᲛᲣᲨᲐ“.

ტარტაროზმა „არ იკის“, თუ რით ხელმძღვანელობდა რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება ამ გუშინწინ „გადობტურებულ“ ახალგაზრდების, (რომლებსაც დიპლომები ჯერ კიდევ არ გაცვლებიათ და ხელებს სწვავთ) ში კაკალ (ენტრში მოკვარახჩინების“ დროს, მაგრამ ტარტაროზმა ძალიან კარგად იკის და მკითხველიც ადვილად მიხვდება,“ თუ რით უნდა ხელმძღვანელობდეს ავტორი იმ განცხადებისა, რომელიც აქვე გვაქვს მოყვანილი:

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ

სოფელ დაკარგულის ხათემო საავადმყოფოს გამგის **ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲭᲐᲚᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ:**

გთხოვთ მიმიღოთ თქვენდამი რწმუნებულ სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველ კურსზე.

დახრულებული მაქვს ასეთივე (სამკურნალო ფაკულტეტი) და მაქვს ოცი წლის სამკურნალო სტაჟი.

სოფ. დაკარგული; (ფხიკიანის მაზრა)

მთხოვნელი **ᲛᲔᲚ. ᲭᲐᲚᲐᲠᲐᲫᲔ.**

ᲪᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ

რკინისგზის ადმინისტრაცია თავდადებულ ბრძოლას აწარმოებს კოლექტივიზაციის ფრონტზე.

მკითხველებს კი ჰგონიათ, თითქოს კოლექტივიზაცია, ოომ ორთქლმავალი იყოს, ზოგიერთი რკინის გზელი მას აქამდე სადმე გადაჩებდა და, მის ნამსხვრევებსაც კი ვერარ ვნახავდით, მაგრამ ეს ყველაზეტი სიცრუეა და „უნამუსო“ ხალხის ანეგდოტია მხოლოდ.

რომ რკინის გზის ზოგიერთი ადმინისტრატორი და მოსამსახურე სულით და გულით არის მონდომებული თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაში და კოლექტივიზაციის ხელის შეწყობაში, ამას ადასტურებს გაზ. „რაბოჩაია პრავდა“-ს კორესპონდენტი.

— ახალციხის მაზრაში 8 თებერვალს გაგზავნილი სამეურნეო მანქანები ჯერაც არ მისულა.

გურჯაანში თბილისიდან გაგზავნილი სამეურნეო მანქანები და ხელსაწყობები დანიშნულების ადგილზე ორი კვირის შემდეგ მივიდა...

საწყალი მანქანები...

არ ერჩიათ ფეხით წასულიყვნენ!

ᲒᲝᲓᲝᲠᲘ

ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲡ (აქვე). საჭიროა დოკუმენტების წარმოდგენა რედაქციაში.

ᲜᲐᲡᲐᲠᲡ. მუზა გსტუმრებიათ და შარადის წერა გაგიძრახავთ:

თხოვნას ვასრულებ მუზისა,
და ვიღებ კალამს ხელშია.
თუ ასე არ მოვიქეცი,
მუზა მაწვება ყელშია.

ჩვენ გვგონია—მუზას თქვენ უფრო ახრჩობთ, ვიდრე ის თქვენ.

ᲭᲣᲙ-ᲙᲘᲙᲘᲡ (ᲑᲝᲚᲓᲘᲡᲮᲔᲕᲘ, ᲙᲐᲮᲔᲗᲘ). აღმასკომისა და ბანკის თავმჯდომარეებს: **ვანო დულაშვილს და რომანა კვესაძეს**, სწყობის გამგე—**ნიკოლოზ ბოლოლაშვილს** უ'აყვედურებთ, რომ გლიბკომის სასადილოში მათ შეჭამეს შემწეარი და ჩახრბილი ინდაურები. მაშ, როგორ გინდათ თქვენ: უმსა და შუუმწვარს ხომ ვერ შესჭამდენ!

ხოლო ის სულ სხვა საკითხია, თუ:

ამ ხამება-ერთიარსებას
მუდამ ახსოვს მხოლოდ ლხინი.
ყურს რომ მაგრად აუწევდეს,
კარგს იზამდა მუშგლეხინი.

გავიგეთ თქვენი წერილიდან:

ალექსანდრე მეკავანაძე
არის დიდი ექიმი.
ბიუროკრატობს ხაშინლად,
არის ნამდვილი ვექილი.

გაგვაგებინეთ — მეკავანაძე ვექილია თუ ექიმი. (ბათრახის კუდი ასეთი წერილების დამწერსაც არ აწყენს).

ᲑᲘᲭᲕᲠᲘᲢᲔᲡ (ᲑᲐᲗᲝᲛᲘ). თუ კი საყუდის ანგარანის გამგე კოლა უკვე „გაქანულია“ და გამსახლში ისვენებს, სხვა რაღა გინდათ!

ᲢᲔᲢᲘᲐᲡ. დასაწყისი გვრიანია, ბოლო არ ვარგა, არ დაიბეჭდება.

„ᲐᲮ, ᲢᲘᲙᲝ, ᲢᲘᲙᲝᲡ“. წერილი თქვენიც გოდორში იყოს.

ᲠᲝᲖᲐᲡ (ᲛᲣᲨᲤᲐᲙᲘ). თქვენს რამე-რუმეში ერთი ასეთი რამე სწერია:

ხახაძე ჩვენო ვანო,
მოგვხედე და ისე წადი.
დავდივარ და დაეკანკალებ,
აღარ ვარგა ჩემი თავი.

ამ შემთხვევაში ხახუაძეს არაფერი არ შეუძლია. რაც შეეხება სიცივეს, უკვე გაზაფხულია და საკმაოთ დათბა. (ასე, რომ თქვენი თავის უვარგისობაში, თუ კი ის მართლაც უვარგისია, სიცივეს ნურაფერს დააბრალებთ.

ᲚᲐᲚᲔᲡ. თქვენი ლექსი ასე თავდება:

რომ ლოთობა ცუდი არის,
გავიგე მეცა.
შავ დაფაზე გამომაკრეს,
ცოლიც გამექცა.

აბა რას იზამდა! ამ ლექსის დამწერთან მოიცდიდა. (ტუმრობის გარეშე, მასალა უფრო დაამუშავეთ და წერილს თქვენი ვინაობაც მოაწერეთ).

ᲪᲘᲪᲔ (ᲢᲝᲑᲐᲜᲘᲔᲠᲘ) ემ ამბავი შეატყობინეთ მუშგლეხს, რომელიც სასწრაფოდ გამოიკვლევეს ყოველივეს. ჩვენ კი მხოლოდ ამას დაგვეჭდავთ:

სხვებსაც დედლები დაჰპარა,
ქვრივად დასტოვა მამლები.

ᲙᲘᲙᲘᲚᲐᲡ და **ᲡᲮᲕᲔᲑᲡᲐᲪ:** ის კი ვიცით, რომ:

შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა
ვიცით რომ ყველას სმა უნდა...
მაგრამ ყოველსა სიტყვესა
განა სუყველას თქმა უნდა?!

თვითთაყვანმცემელი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук

ბის გვირგვინი

ვართალს ამგოგდენ ჩემი წინაპრები!—„მაკიმე ყოფილა ძუდი მოგნომაბისა“

რედაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა; საქ. ბ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319